პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

2

ნოემბერი

ხუთშაბათი,

1961 წ.

№ 177 (1813)

გამოვიმის 10-18 წელი.

ფასი 3 კაპ.



სურათზე: თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის წამყვანი მოთამაშეები ნ. გვახარია (მარჯვნივ) და ლ. გოგოლაძე ტაიმებს შორის შესვენების დროს. ფოტო ვ. ტუტოვისა.

„დინამოელებმა“ გაანაღდეს ჰიროობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდა საბჭოთა ხალხი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს „დინამოს“ სპორტულმა ორგანიზაციამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

შეჯიბრება მიზნად ისახავდა საქართველოს „დინამოს“ სპორტული საქმიანობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა პირნათლად შეასრულეს აღებული ვალდებულებანი.

დინამოელთა რიგები 3.111 კაცით გაიზარდა. სპორტსაზოგადოებამ 109 პროცენტით შეასრულა მშთნიშნოსანთა მომზადების გეგმა. მთლიანად და გადაჭარბებით იქნა აგრეთვე შესრულებული საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მსაჯთა, ოსტატებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები. ვალდებულების თანახმად შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა რიცხვი უნდა გაზრდილიყო 45 ათას კაცამდე. ამის გამო თითქმის ყველა ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩატარებულ იქნა სპარტაკიადები, შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ამავე დროს ორჯერ გაიმართა რესპუბლიკური სპარტაკიადა.

საგრძნობლად გაიზარდა შეჯიბრების ჩატარების რაოდენობა ორგანიზაციებშიც, ასე, მაგალითად, აფხაზეთის საბჭომ 85 ღონისძიება ჩაატარა, აჭარამ — 84, ქუთაისმა — 31, ახალციხემ—25, რის შედეგადაც შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 62.673-ს. მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული საკავშირო სარბიელზეც. „დინამოს“ საკავშირო სპარტაკიადაზე წყალბურთელებმა პირველი ადგილი აიღეს, კალათბურთელები მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ. კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს „დინამომ“ მოიპოვა მესამე ადგილი.

გაუმჯობესდა სპორტის აგიტაცია და პროპაგანდა, საშეფო მუშაობა. ამ მიზნით ჩამოყალიბებული იქნა სპორტული ბრიგადები, რომლის შემადგენლობაში შედიან გამოჩენილი სპორტსმენები. ჩატარებული იქნა 12 საჩვენებელი გამოსვლა ძირეულ კოლექტივებში. საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო სოფელ ზემო-მაჩხაანში, ქედში, წითელწყაროში, წყალტუბოს რაიონ სოფელ საყულიაში, სოფელ გლდანში და ა. შ.

ვ. ბუხნიკაშვილი



სურათზე: საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი უმჩატეს წონაში ლ. კაციაშვილი მტკივნეულ ილეთს უტარებს ლატვიელ ოსტატს ლ. შტურმანს, რომელმაც ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა.

ფოტო ი. იუნაევისა.

იაპონელი მოჭიდავეები ეწვევიან თბილისს

მოსკოვი. (ჩვენი საკ. კორ.). ნოემბრის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირს ეწვევა იაპონიის მოჭიდავეთა დელეგაცია. ამ ქვეყნის ჭიდაობის ასოციაციამ უკვე დაამტკიცა ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობა. კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდში მოხვდნენ იაპონიის ჩემპიონი მ. კაძიკავა, რომის ოლიმპიადის მონაწილე და მსოფლიოს ჩემპიონი მ. იტიგუტი. ქვემსუბუქ წონაში ორი სპორტსმენი გამოვა: იაპონიის ჩემპიონი კ. ფუძიტა და ახალგაზრდა სპორტსმენი ი. სასაბუტი. მომდევნო წონით კატეგორიებში სტუმრების ღირსებას დაიცავენ: იაპონიის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის მონაწილე ტ. სავაიტი, ი. სასაკი, იაპონიის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის მონაწილე ს. კაძემა, იაპონიის ჩემპიონი ნ. ურატა, მძიმე წონაში გუნდს არ ეყოლება მონაწილე.

თავისუფალ ჭიდაობაში იაპონიის ეროვნული ნაკრები საბჭოთა კავშირში ასეთი შემადგენლობით ჩამოვა: იაპონიის ჩემპიონი უ. იმაიძუმი, ს. კაძიმა (აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა მეოთხე ადგილი დაიკავა მსოფლიო პირველობაზე). ქვემსუბუქი წონა წარმოდგენილი იქნება ორი მონაწილით — ნ. ვატანადეთი და ტ. სატოთი (ამ უკანასკნელს მეოთხე ადგილი ჰქონდა როგორც რომის ოლიმპიურ თამაშებზე, ისე მსოფლიო პირველობაზე).

დანარჩენ წონით კატეგორიებში გამოდიან: იაპონიის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე კ. აბე, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ტ. კანეკო, ამავე პირველობის მონაწილე ტ. იოსიკავა. XVII ოლიმპიური თამაშების მონაწილე ს. კოვანო. მძიმე წონაში არც აქ გამოვა მონაწილე.

სულ იაპონიის სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში 16 ათლეტი იქნება, მათ შორის ცხრა 21 წლისა და 2 (ვატანადე და ურატა) 20 წლისა. ამ ახალგაზრდული შემადგენლობის მიუხედავად, გუნდს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის საკმაო დიდი გამოცდილება აქვს.

როგორც ცნობილია, გასულ წელს იაპონიაში საბჭოთა მოჭიდავეებმა გამართეს ამხანაგური შეხვედრები. ჩვენმა გუნდმა იგი მოიგო საერთო ანგარიშით 22,5:9,5. გუნდი, რომელიც ნოემბრის პირველ ნახევარში ჩამოვა საბჭოთა კავშირში, უმთავრესად დაკომპლექტებული იქნება ამ შეხვედრათა მონაწილეებისაგან.

საბჭოთა და იაპონელი სპორტსმენების პირველი შეხვედრა მოსკოვში გაიმართება 10 ნოემბერს. ამ დღეს ხალიჩაზე გამოვლენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები. მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. 14 ნოემბერს იაპონელი მოჭიდავეები გამოვლენ თბილისსა (კლასიკურ სტილში) და კიევში (თავისუფალ სტილში). 17 ნოემბერს ისინი იჭიდავებენ ბაქოში (კლასიკურ სტილში) და მინსკში (თავისუფალ სტილში), 20 ნოემბერს — ერევანში (კლასიკურ სტილში) და ლენინგრადში (თავისუფალ სტილში).

ახალი პროგრამით

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ოთხ დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს აკრობატთა შეჯიბრება ახალი პროგრამამ ანაზეზლოვნად გადადო ინტერესი. სიახლე გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ნებისმიერი პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიშების დამთავრების შემდეგ მოეწყო ე. წ. ფინალი, ფინალში მოხვდნენ საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სპორტსმენები და მათ შორის სპორტულ ბრძოლაში გადაწყდა ჩემპიონობის ბედიც.

ვაეთა შორის სპორტის ოსტატის პროგრამით გამოსულ მხტომელებში ფინალისათვის ერთნაირი შედეგები ჰქონდათ რსფსრ-ს წარმომადგენელ ი. სტრახოვს, საქართველოს გუნდის წევრს ვ. ლიტვინოვს და უკრაინელ ვ. ნეგაევს. მათ ჰქონდათ 73,95 ქულა. ამ სამეულს მხოლოდ ერთი მეათედით ჩამორჩებოდა მოსკოველი ი. იაკოვენკო.

ფინალში გაიმართა საინტერესო და მწვავე ბრძოლა, რომელშიც ი. სტრახოვმა შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება — 111,35 ქულა. მას ორი მეათედი ქულით ჩამორჩა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ვ. ლიტვინოვი. მესამე ადგილზე გამოვიდა ი. იაკოვენკო — 110 ქულა.

ქალთა შორის ხტომებში პირველი ადგილი დაიკავა ი. ბელიაკოვამ (რსფსრ).

ძალისმიერ წყვილთა შეჯიბრებაში ჩემპიონობა შეინარჩუნეს რსფსრ-ს აკრობატებმა — ა. კორნეევმა და ვ. ანანევიჩმა. ლენინგრადელებმა ე. კლუბნიჩკინამ და კ. ბრაკოვმა პირველი ადგილი დაიკავეს შერეულ წყვილთა შორის.

ჩემპიონთა წითელი მაისურები ჯგუფურ ვარჯიშებში წილად ხვდათ უკრაინელ სპორტსმენებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გუნდის წარმომადგენელი გ. ქირია პირველი იყო პირველთანრიგოსანთა შორის ხტომებში, ხოლო ო. გულუაშვილმა დაიკავა მეორე ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა რსფსრ, მეორეზე — უკრაინა, მესამეზე — ლენინგრადი. საქართველოს აკრობატები გამოვიდნენ მეათე ადგილზე. ეს მარცხი მნიშვნელოვნად იმითაც არის გამოწვეული, რომ ოთხეულთა ვარჯიშების დროს გ. მარგიშვილმა მიიღო ტრავმა და გუნდი გამოითიშა შეჯიბრებიდან.

ი. ეგნატაშვილი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

XXIX ჩემპიონატი

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ საბოლოოდ დააზუსტა XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის შემადგენლობა.

ჩემპიონატში ითამაშებს 11 გროსმაისტერი და ამდენივე ოსტატი. სტარტზე გამოვლენ გროსმაისტერები მ. ტალი (რიგა), ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი, მ. ტაიმანოვი (ყველა ლენინგრადიდან), ვ. სმისლოვი, ი. ავერბახი, დ. ბრონშტეინი, ე. ვასიუკოვი (ყველა მოსკოვიდან), პ. კერესი (ტალინი), ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), რ. ხოლმოვი (სოჩი) და ოსტატები რ. ნეუმეტდინოვი (ყაზანი), ა. ხასინი, ლ. შამკოვიჩი (ორივე მოსკოვიდან), ვ. შიანოვსკი (კიევი), ი. კოცი (სტალინო), ბ. გურგენიძე (თბილისი), ა. გიპსლისი (რიგა), ვ. ბაგიროვი (ბაქო), ვ. სავონი (ხარკოვი), ა. ლეინი, ბ. ვლადიმიროვი (ორივე ლენინგრადის ოლქიდან).

ტურნირი გაიმართება ბაქოში 16 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე. ჩემპიონატის მთავარ მსაჯად დანიშნულია საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი მ. იუდოვიჩი.



საქართველოში ყოფნის დროს მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი მცხეთაში ესტუმრა გამოჩენილ მეყვავილეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. მამულაშვილს. — თქვენ ყვავილების ეფშარიტი გროსმაისტერი, ხართ, — უთხრა მსოფლიო ჩემპიონმა მ. მამულაშვილს და საპატიო სტუმრების წიგნში თბილი ჩანაწერი გააკეთა.

სურათზე: მ. მამულაშვილი (მარცხნივ) და მ. ბოტვინიკი დამშვიდობებისას.

ფოტო გ. კიკვიძისა.

პოზიციის შეფასება და კონკრეტული ვარიანტები

პოზიციის შეფასებისა და ვარიანტების გათვლის ხელოვნებას მოჭადრაკე უნდა ეუფლებოდეს დიდხანს და მოთმინებით. საკუთარი პარტიების გარჩევისას მან უნდა დაადგინოს ის კრიტიკული მომენტები, საიდანაც შეიძლება ბრძოლას სხვა მიმართულება მიეცეს. მაგრამ რაა ის კრიტიკული მომენტები და როგორ ხდება პოზიციის შეფასების შერწყმა კონკრეტული ვარიანტების გათვლასთან, რა წარმოშობს შეცდომებს? ამ საკითხთან დაკავშირებით მომყავს პარტია.

ა. ბუსლაევი — ი. ნეი (ტალინი)

სსრ კავშირის გუნდური პირველობა, 1960 წ.

1. d4 d5 2. c4 c6 3. ♘f3 e6 4. ♗c2

პირველი კრიტიკული მომენტი. ნეიმ საუცხოოთ იცის სლავური დაცვა, ამიტომ გადავწყვიტე მოვერიდო მისთვის კარგად ცნობილ გაგრძელებებს.

4. ... ♘f6 5. ♗g5 ♘bd7 6.cd

ახლა თეორებს თამაში გადაჰყავთ კარლსბადის ვარიანტში, რომელსაც ნეი უხალისოდ თამაშობს.

6. ...ed 7. e3 ♗e7 8. ♗ 3 ♘f8

მეორე კრიტიკული მომენტი.

შავების გეგმაა ♘d7—f8—e6, შემდეგ g6 და ♗g7, რათა ♗f5 გაცვალოს ♗ უ.

შავები გეგმავენ სტრატეგიულ მანევრს. მაგრამ ეს გეგმა მეტად მდორეა და მალე წააწყდება ტაქტიკურ უარყოფას.

9. ♘c3 ♘e6 10. ♗h4 g6 11. h3 ♘g7 12. g4 (არ უშვებს 12. ... ♗f5) h5 13. 0—0 - 0! ♘h7 (აგებდა 13.... hg 14. hg ♖:g4 15. ♗:e7 გამო, აგრეთვე 14. ...♗:g4 15. ♗f6 ♕:h1 16. ♕:h1 ♗:f6 17. ♕h3+) 14. ♗:e7 ♖:e7 15. ♘e5 ♘f8 16. e4!

საბოლოოდ ამსხვრევს შავების ჩანაფიქრს და აიძულებს მათ პასიურ დაცვას.

სწორი გადაწყვეტილებაა. თეორებმა ენერგიულად უნდა ითამაშონ, რომ გამოიყენონ უპირატესობა განვითარებაში.

16. ...de 17. ♖:e4 (რა ითამაშონ შავებმა? თუ 17. ...♗e6 მაშინ 18. ♖:e6. თუ 17. ... ♗d7 18. ♕he1 0—0—0 19. ♖:f7) ♘d7 18. ♕he1 0—0 19 ♖:d7?

მნიშვნელოვანი კრიტიკული მომენტი. თეორები ჩქარობენ მდგომარეობის გარკვევას, რაც საკუთარი პოზიციის არასწორი შეფასების შედეგია.

19. ... ♗:d7 20. g5 ♘fh8 21. ♘f6 ♗d6 22. ♗:g6

თითქოს ძლიერი გაგრძელებაა. სწორედ აქ ნეი სჯის თეორებს არასწორი შეფასებისათვის.

22 ...♗f8+23. ♔d2 (კიდევ ერთი შეცდომა. საჭირო იყო 23. ♗d2 ♖:d2 24. ♔:d2 fg 25. ♖:d7) ♔ad8! (აქ კიდევ დავუშვი ტაქტიკური შეცდომა, რადგან მინდოდა შემენარჩუნებინა რაიმე უპირატესობა) **24 ♖:h5 ♖:g5 25. ♖:g7 fg 26. ♘e6 ♗:e6 27 ♔:e6 ♔:f2.**

თეორებმა „შორიდან“ ვერ შეამჩნიეს ეს სვლა, რადგან დაავიწყდათ ეტლის დაბმულობა.

28. ♗d3 (აქ პარტიაში **28. ...♔:d2 29. ♖:d2 ♖:d2+ 30 ♘:d2 ♔:d4+ 31. ♘c3 ♔h4** შემდეგ გამოდიოდა ყაიმი).

ამიტომ ნეიმ შემომთავაზა ყაიმი. მე მივიღე იგი.

პარტია გვიჩვენებს, რომ ოსტატები და ბევრჯერ გროსმაისტერებიც კი არ არიან დაზღვეული მსგავსი შეცდომებისაგან.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

ᲕᲘᲜᲐᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲒᲜᲔᲣᲚᲘ?

ერთხელ, პარიზში, მსოფლიო ჩემპიონი ლასკერი მოეწყო იმ სასტუმროში, რომელიც მას ლონდონელმა მეგობრებმა ურჩიეს. იგი გაეშურა საჭადრაკო კლუბში. უკან დაბრუნებისას მას დაავიწყდა სასტუმროს ადგილმდებარეობა. მთელი დამე უშედეგოდ იხეტიალა და მეგობრებს გაუგზავნა დეპეშა შეეტყობინებინათ სასტუმროს მისამართი.

რაკი დეპეშამ ლონდონიდან დაიგვიანა, მან ძებნა განაგრძო და რის ვაივაგლახით შეაგნო სასტუმროს.

როცა შევიდა თავის ოთახში, დაუხვდა დეპეშა: „პარიზი, ლატერის ქ. 12, ლასკერს. თქვენი მისამართია: პარიზი, ლატერის ქ. 12“.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ლასკერს თავის დეპეშაში დაავიწყდა შეეტყობინებია სად ეცნობებიათ მისთვის სასტუმროს მისამართი, ხოლო მისი ლონდონელი მეგობარი არ დარჩა დაბნეულობის ვალში.

ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ელვისებური ტურნირი მასობრივი ღონისძიებაა. ამ ტურნირს მონაწილენი ჩვეულებრივად ამთავრებენ 4-5 საათში. ამიტომ ასეთი შეჯიბრების მოწყობა ძალზე ადვილია.

როგორ ტარდება ელვისებური ტურნირი და როგორ უნდა ვიმსჯელოთ?

ტურნირი ეწყობა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო კოდექსის მიხედვით. ერთი ტურნირი იმართება ერთ დღეში თამაშის 5 საათის ხანგრძლივობით. ყოველი ოთხი ტურის შემდეგ მონაწილეებს ეძლევათ შესვენებისათვის 5 წუთი. პარტიაში სვლების მოფიქრებისათვის მონაწილეებს ეძლევათ 5-5 წუთი. საჭადრაკო საათი ედგმება მარცხენა მხრიდან თეორებით მოთამაშეს. მონაწილე ვალდებულია საათი გადაიყვანოს იმავე ხელით, რომლითაც გადააადგილებს ფიგურებს დაფაზე. თუ მონაწილემ გააკეთა შეუძლებელი სვლა ან გადაეყარა ფიგურები დაფიდან, მსჯელობა ვალდებულია გაუშვას დამნაშავის საათი, რომ მის ხარჯზე გასწორდეს შეცდომა. სამჯერ ასეთი შემთხვევის გამეორებისას მონაწილეს წაგება მიესჯება. პარტია ჩაითვლება მოგებულად, თუ გამოეცხადა შამათი, ან მოწინააღმდეგემ ცნო თავი დამარცხებულად, ან მოწინააღმდეგემ გადააცილა დროს. პარტია ჩაითვლება ყაიმით დამთავრებულად: თუ მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ მასზე, ან შეიქმნა საპატო პოზიცია, ან ორივეს ერთდროულად ჩამოუვარდათ ალამი საათზე. იმ შემთხვევაში, თუ ერთ მონაწილეს ჩამოუვარდა ალამი და პოზიციაში არ არსებობს მოგების თეორიული შესაძლებლობა, პარტიას მაინც მიესჯება ყაიმი. ასეთი პოზიციებია: თუ დარჩნენ მარტო მეფეები, ან მეფე მსუბუქი ფიგურით მეფის წინააღმდეგ, ან მეფეები ერთფეროვანი კუთი, ან თუ პოზიცია სავსებით ჩაკეტილია, ან თუ საპატო პოზიციაა, ან თუ დროს გადამცილებელს აქვს ფიგურები — მოწინააღმდეგეს — მარტო მეფე, ან დროს გადამცილებელს — ლაზიერი (ეტლი) მოწინააღმდეგის მსუბუქი ფიგურის წინააღმდეგ.

შეჯიბრება ელვისებურ თამაშში შეიძლება ჩატარდეს უსაათებოდაც. ამ შემთხვევაში თვითეულ მოწინააღმდეგეს სვლის მოფიქრებაზე ეძლევა 5 წამი, რომლის შესახებ მსაჯი წამმზომით ხელში აცხადებს ხმამაღლა, გარკვევით, ბრძანების კილოთი: „სვლა თეორებისაა“ — „სვლა შავებისაა“. ამ შემთხვევაში პარტიის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 10 წუთზე ნაკლები. ის, ვინც ბრძანების დროს არ გააკეთებს მორიგ სვლას, მიიღებს შენიშვნას. მეორე შემთხვევაში — გაფრთხილებას, ხოლო სამჯერ სვლის გამოტოვების შემთხვევაში მას წაგება მიესჯება. დაუმთავრებელ პარტიებში შედეგს მიუსჯის მსაჯი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ „ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ“

ჩეხ გროსმაისტერს ო. დურასს „ჩვეულებად“ ჰქონდა გრძელი პარტიების თამაში. 1907 წელს კარლსბადის საერთაშორისო ტურნირზე ვოლფთან პარტიაში დურასმა მე-7 სვლაზე პაიკი დაკარგა, მაგრამ განაგრძობდა თამაშს, სანამ მის მეტოქეს არ დარჩა ორი ლაზიერი მეფის წინააღმდეგ. პარტია გრძელდებოდა 22,5 საათი და ხუთჯერ გადაიდო. სვლების რაოდენობაც სარეკორდოა — 168. 1911 წელს დურასმა წააგო პარტია იანოვსკისთან მხოლოდ 161 სვლაში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

XVI საუკუნეში გამოჩენილი მოჭადრაკე იყო სირაკუზელი პაოლო ბოი. იგი ერთხანს ცხოვრობდა ნეაპოლში, საიდანაც ხშირად მიემგზავრებოდა სათამაშოდ მილანში, ვენეციაში, გენუასა და უნგრეთში. 1598 წელს კვლავ დაბრუნდა ნეაპოლში, მაგრამ ერთ ტრაქტირში იგი მოწამლა მსახურმა. ბოის თამაში გამოირჩეოდა ბრწყინვალე ოსტატობით.









მონახეთ კომბინაცია!

ყველა პოზიციაში სვლა თეორებისაა.

ᲚᲔᲚᲔ

ᲒᲔ-2 ᲒᲒ. № 177 (1818)

...ვიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ...ნალურ ჯგუფში მონაწილე გუნ...ებისათვის.

...ტყიბულში ადგილობრივმა „მეშახტემ“ მიიღო მახარაძის „სიხა...

...ფინალური თამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„...ურია“ (ლანჩხუთი)	7	4	3	0	18:9	11
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	7	2	4	1	17:17	8
„...ლიში“ (ზუგდიდი)	6	2	2	2	12:12	6
„სიხარული“ (მახარაძე)	7	2	2	3	8:11	6
„მეშახტე“ (ტყიბული)	7	1	3	3	6:9	5
„იმერეთი“ (ქუთაისი)	6	1	2	3	7:10	4



...რული“. პირველი ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. ორივე გუნდს ჰქონდა კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მხოლოდ მასპინძლებმა გამოიყენეს იგი და ისიც ერთ შემთხვევაში.

შესვენების შემდეგ კვლავ აშკარა იყო ტყიბულელთა უპირატესობა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ანგარიშის გაზრდა. სამაგიეროდ, მახარაძელთა ერთ-ერთი იერიში დამთავრდა საპასუხო გოლის გატანით, რის შემდეგ უპირატესობა „სიხარულის“ მხარეს გადავიდა. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სამტრედიის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო ზუგდიდის „ოდიში“. თამაშის პირველი ნახევარი ზუგდიდელებმა თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს — 2:0. შესვენების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ სამტრედიელი ფეხბურთელები. მატჩის საბოლოო შედეგია 3:3.

ქუთაისის „იმერეთისა“ და ლანჩხუთის „გურიას“ მატჩში შეხვედრის დასაწყისშივე ანგარიში გახსნა ლანჩხუთელმა დ. მენაღარიშვილმა. შემდეგ ლანჩხუთელებს კიდევ ჰქონდათ წარმატების მოპოვების შესაძლებლობა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს. მეორე ნახევარი დაიწყო ქუთაისელთა უპირატესობით. მათი იერიშების მოგერიება არც თუ ისე გაჭირვებია ლანჩხუთელთა დაცვას, სადაც კარგი თამაშით გამოირჩეოდა ლ. გორდელაძე. ერთ-ერთი საპასუხო იერიშისას „გურიამ“ შეძლო მეორე გოლის გატანაც და მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე, ქუთაისელებმა გაქვითეს ერთი გოლი. 2:1—ასე დამთავრდა ეს მატჩი ლანჩხუთელთა სასარგებლოდ, რითაც ისინი მტკიცედ ჩაუდგნენ სათავეში ექვსთა ტურნირს.

მორიგი ლაშქრობა

ნაყოფიერად მუშაობს თბილისის კერამიკული კომბინატის ტურისტული სექციის, რომელსაც ხელმძღვანელობს ... ...

ლელელელ: ვასილიევს!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, სპორტის ოსტატ ა. გუნიას (თბილისი) და ს. ოსაძეს (ზესტაფონი) აინტერესებთ, თუ ვინ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ველორბოლაში უკანასკნელ პირველობაზე, როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალებს შორის.

მსოფლიოს 56-ე პირველობა ველორბოლაში ჩატარდა სექტემბრის პირველ რიცხვებში ციურიხის ტრეკზე. **მოყვარულთა შორის სპრინტში** ამჯერად იყო იტალიელთა უპირატესობა. პირველი ადგილი მოიპოვა 22 წლის ს. ბიანკეტომ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ერთი წლით მასზე უმცროსი ჯ. ბეგეტო. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი სპრინტერთა შეჯიბრებაში 18 წლის ასაკიდან მონაწილეობს. ვასულ წელს ლაიპციგში გამართულ მსოფლიო პირველობაზე მან შეჯიბრება დასტოვა წინასწარ ტურში.

პროფესიონალთა სპრინტში მსოფლიო ჩემპიონი მეხუთედ გახდა 29 წლის იტალიელი ა. მასპესი (უკანასკნელი 200 მ. — 10.8 და 10,9 წამი). წარუმატებლად გამოვიდა აქ შარშანდელი ჩემპიონი მოყვარულთა შორის და ოლიმპიური ჩემპიონი იტალიელი ს. გაიარდონი. იგი წინასწარი შეჯიბრებიდან გამოვარდა.

გამოდევნებით რბოლაში მოყვარულთა შორის მეოთხედფინალში დაიშვებოდნენ ისინი, ვინც 4 კმ დისტანციას დაფარავდნენ არაუმეტეს 5.03,1. პირველი ადგილი დაიკავა ჰოლანდიელმა ჰ. ნიდამმა — 4.56,8. მეორე ადგილზე იყო მისი თანამემამულე ი. ოუდკერკი — 4.57,3.

გამოდევნებით რბოლაში პროფესიონალებს უნდა დაეფარათ 5-კილომეტრიანი დისტანცია. აქ ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. რ. ალტიგი (გფრ)—6.12,5. 2. ვ. ტრეპი (შვეიცარია)—6.13,5. 3. ჰ. პოსტი (ჰოლანდია) — 6.17,9. 4. ლ. ფაჯინი (იტალია) — 6.18,1.

სალიდერო რბოლა მოყვარულთა შორის ჩატარდა შემდეგნაირად: ჯერ გაიმართა წინასწარი შეჯიბრება 50 კილომეტრზე, შემდეგ კიდევ ერთი რბოლა წაგებულთათვის 50 კილომეტრზე და ფინალი (საათიანი რბოლა). გამარჯვება მოიპოვა ჰოლანდიელმა ლ. ვან დერ მოილენმა — 67,258 კმ.

პროფესიონალები ამ სახეობაში პირველობისათვის იბრძოდნენ ასე: წინასწარი შეჯიბრება (საათიანი რბოლა). კიდევ ერთი დამატებითი რბოლა წაგებულთათვის (საათიანი) და ფინალი (100 კილომეტრზე). ჩემპიონი გახდა გფრ-ს წარმომადგენელი კ. გ. მარსელი — 1.29.16,4.

იმავე დღეებში ბერნში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობის გათამაშება საგზაო-ველოცილო რბოლაში. წრის სიგრძე იყო 12,966 კმ. სიმაღლეთა სხვაობა 200 მ. ოთხ ვარულებს უნდა დაეძლიათ 14 წრე. **პროფესიონალები** — 22. **მოყვარულთა შორის** გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად თვლიდნენ: ვ. კაპიტონოვსა და ი. მელეხოვს (სსრკ), 1958 და 59 წლის მსოფლიო ჩემპიონს. გ. შურს და მის თანაგუნდელს ბ. ეკშტეინს — 1960 წლის მსოფლიო ჩემპიონს (ორივე გდრ), აგრეთვე „ტურ დე ლავენირში“ გამარჯვებულ იტალიელს გ. დეროსის. მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. პირველი სამი ადგილი დაიკავეს ფრანგებმა: — 19 წლის ჟ. ჟურდანმა — 4:49.54, 20 წლის ა. ბელენამ — 4:50.16 და 21 წლის ჟ. ჟესტრომ—4:50.16. საბჭოთა სპორტსმენებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ა. პეტროვს — მე-18 ადგილი, ა. ჩერეპოვიჩი გამოვიდა 28-ე ადგილზე.

პროფესიონალთა შეჯიბრებაში გამოდიოდა ყველა „ვარსკვლავი“: „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი), იტალიელები ე. ბალდინი, გ. ნენჩინი, ა. პამბიანო, ნ. დე ფილიპსი, ინგლისელი ბ. რობინსონი. რბოლა მოიგო ბელგიელმა რიკ ვან ლოიმ, 22 წრის გავლას (285 კმ 252 მ) მან მოანდომა — 7:46.35 (საშუალო სიჩქარე 36,75 კმ საათში). მეორე ადგილი წილად ხვდა ნ. დე ფილიპსს, მესამე — რ. პულიდორს (საფრანგეთი). ჟ. ანკეტილმა მე-13 ადგილი დაიკავა.



ელენიო ერერას ძვირფასი „ნაძავლი“

ის ამბავი, რომ მილანის „ინტერნაციონალე“ მტკიცედ ლიდერობს იტალიის ჩემპიონატში, მრავალ მიმომხილველს ამ გუნდში ლუის სუარესის დამსახურებად მიაჩნია. ესპანელი ლუის სუარესი, რომელიც „ბარსელონასაგან“ „ინტერნაციონალეს“ პატრონმა მწვრთნელ ელენიო ერერას რჩევით ზღაპრულ თანხად შეიძინა, ამჟამად ყველაზე „ძვირი“ მოთამაშეა ევროპაში, იგი ჟურნალ „ფრანს-ფუტბოლის“ ანკეტით ევროპელ ფეხბურთელთა შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა. აი ეს ანკეტაც:

1. სუარესი (ესპანელი, თამაშობს მილანის „ინტერნაციონალში“). 2. პუშკაში (უნგრელი რენეგატი, თამაშობს მადრიდის „რეალში“). 3. ზეელერი („ჰამბურგერ შპორტ-ფერაინი“). 4. დი სტეფანო (არგენტინის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი, თამაშობს მადრიდის „რეალში“). 5 იაშინი (მოსკოვის „დინამო“). 6. კოპა („სტად დე რეიმსი“), 7. ჩარლზი (უელსელი ცენტრფორვარდი, თამაშობს იტალიაში, ტურინის „იუვენტუსში“). 8. ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“). 9. სივორი (არგენტინის ნაკრების ყოფილი მარცხენა შუამარბი, თამაშობს იტალიაში, ტურინის „იუვენტუსში“). 10. შიმანიაკი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, თამაშობს იტალიის კლუბ „ბოლონიაში“). 11. შენტო (ჩილელი ფეხბურთელი, თამაშობს მადრიდის „რეალში“). 12. კოსტიჩი (იუგოსლავიის ნაკრების მარცხენა გარემარბი, თამაშობს იტალიაში, ვიჩენცას „ლანეროსიში“). 13. უელაკი (პარიზის „რესინგი“). 14. ჰამრინი (შვეიცის ნაკრების მარჯვენა გარემარბი, თამაშობს იტალიაში, ფლორენციის „ფიორენტინაში“). 15. სმიტი (ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“). 16. გრივსი (ინგლისის ნაკრების მარჯვენა შუამარბი, ამჟამად თამაშობს იტალიაში, „მილანში“), 17. კოლევი (ბულგარეთის ნაკრების მარცხენა გარემარბი, თამაშობს სოფიის არმიელთა კლუბ ცდნაში). 18. დელ სოლი (მადრიდის „რეალი“): 19. შანდორი (ბუდაპეშტის მტკ). 20. გერეში (ბუდაპეშტის „დოჟა“). 21. სიმონსონი (შვეიცის ნაკრების ცენტრფორვარდი, ამჟამად თამაშობს მადრიდის „რეალში“). 22. შეკულარაცი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“). 23. ანეელილო (არგენტინის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი, ამჟამად თამაშობს იტალიის კლუბ „რომაში“). 24. ვიდინიჩი (თამაშობს იუგოსლავიის მეორე ლიგის გუნდ „რადნიჩკის“ მეკარედ). 25. ჰოფი (თამაშობს ავსტრიის კლუბ „ვინერ შპორტკლუბის“ შემადგენლობაში). 26 ჰანაპი (ვენის „რაპიდი“).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ფრანს- ფუტბოლის“ წინანდელ ანკეტებში გამარჯვებული დი სტეფანო ამჟამად მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო მისი მუდმივი მეტოქე კოპა (რომელიც აქამდე ყოველთვის მეხუთე ადგილებს იკავებდა) პირველ ხუთეულში ვერ მოხვდა. ისიც საყურადღებოა, რომ 26 ფეხბურთელიდან უდიდესი უმეტესობა (22) თავდამსხმელია.

ცნობები ბელგრადიდან

მომავალი წლის სექტემბერში ბელგრადში თავს მოიყრიან კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენები. როგორც ვხედავთ, დრო ჯერ კიდევ დიდია, მაგრამ ინტერესი შეჯიბრებისადმი დღითიდღე იზრდება ევროპის ქვეყნებში. სპორტული პრესა ყველგან მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბელგრადელთა სამზადისს. ისინი ძირითადად ეყრდნობიან საორგანიზაციო კომიტეტის ცნობებს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ავლენენ სპეციალურ კორესპონდენტებსაც.

ევროპის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თვით შეჯიბრების დღეებს. ამას წინათ საორგანიზაციო კომიტეტმა ევროპის ყველა სპორტული ჟურნალისა და გაზეთის რედაქციებს დაუგზავნა ანკეტა იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც მივლინებულნი იქნებიან ბელგრადში. საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიიღო 60 გამოხმაურება თავიანთი წარმომადგენლების ბელგრადში აკრედიტების შესახებ. ერთი პირველთაგანი იყო „რეიტერის“, „იუნაიტედ პრესის“ საფრანგეთის რადიო „დიფუზიასა“ და ინგლისის „დეილი ექსპრესის“ რედაქციები, რომლებმაც მოითხოვეს ადგილი თავიანთი წარმომადგენლებისათვის. დღემდე ყველაზე მეტი განცხადება საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ინგლისიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, დასავლეთ გერმანიიდან.

მაგრამ მხოლოდ ამით არ გამოიხატება ინტერესი ევროპის ჩემპიონატისადმი. ევროპის ტურისტთა ბევრმა საგენტომ უკვე გაჰყიდა ათასობით ბილეთი შეჯიბრებაზე დასასწრებლად. დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ გერმანიაში მსურველებმა მიიღეს 3 ათასზე მეტი ბილეთი, ხოლო ვარშავის ტურისტთა საგენტომ „სპორტ ტურისტმა“ მოითხოვა 360 ბილეთი იმ პოლონელი ტურისტებისათვის, რომლებსაც სურთ დაესწრონ შეჯიბრებას. 2.000 ტურისტი ჩავა ბელგრადში სკანდინავიის ქვეყნებიდან — შვეციიდან, ფინეთიდან და დანიიდან. რამდენიმე ჯგუფით იქნება წარმოდგენილი ავსტრიის ტურისტთა კომპანია.

საორგანიზაციო კომიტეტი იტყობინება იმასაც, რომ ჩემპიონატის დღეებში ბელგრადში გაიმართება მძლეოსნობის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელიც ყველაზე ხალხმრავალი იქნება. ვარაუდობენ: ამ სხდომაზე თავს მოიყრის ყველა 102 ნაციონალური ფედერაცია, ისინი ვინც შედიან ოლიმპიურ კომიტეტში. კონგრესის სხდომები ჩასატარებლად გამოყოფილია სასტუმრო „მეტროპოლი“, ხოლო პლენარული სხდომები გაიმართება სერბიის აღმასრულებელი ეროვნული დარბაზში. უკვე დაიწყო მზადება კონგრესის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. შეირჩა ბინები დელეგატებისათვის, მუშავდება ღონისძიებანი. წესრიგი და სხვ.

ამას წინათ კუბაში სტუმრად იყვნენ ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც რამდენიმე საჩვენებელი გამოსვლა მოაწყეს რესპუბლიკის ქალაქებში.

სურათზე: კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის.

ერთბაშად 1,8 წამით

ცურვაში ახალი სენსაცია მოახდინა 15 წლის კანადელმა მერი სტიუარტმა. გამოდიოდა რა 55-იარდიან აუზში ვანკუვერში, 110 იარდი ბატერფლაის სტილით გაცურა 1.09,0 და 1,8 წამით გაუმჯობესა ავსტრალიელი სპორტსმენის დ. ფრეზერის მსოფლიო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, ტოკიოში გამართულ შეჯიბრებაზე სტიუარტმა ამავე დისტანციაზე, ამავე სტილით ცურვაში აჩვენა 1.10,0.

კრამერი მოგზაურობს

ვარშავაში ელიან „კრამერის ცირკის“ ერთი ჯგუფის გასტროლებს. პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში ითამაშებენ ახალი მსოფლიო ჩემპიონი კენ როზუელი (ავსტრალია), ბარი მაკ კეი (აშშ), ანდრეას გამენო (ესპანეთი), ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ფრანცისკო სეგურა (ეკვადორი) და საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი რობერ ჰაილე.

„კრამერის ცირკის“ გასტროლები დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაიმართება.

რედაქტორი ი. უგულავა.

დღეს!

კიროვის სახ. პარკის ყალათბურთის სტადიონი

საქალაქთაშორისო შეჯიბრება

ხელგურთში

[7X7]

მოსკოვი - თბილისი

(ვაჟთა ნაკრები გუნდები)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.

დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01194